ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 109

ქალაქი ქუთაისი 26 სექტემბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია
გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

(საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის
ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე
განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 26 სექტემბრის N109 განკარგულების
დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო
კომისიის ინფორმაცია გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისია აქტიურად მონაწილეობს საკრებულოში წარმოდგენილი პროექტების განხილვაში, ამზადებს დასკვნებს და შემდგომში მიღების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს. კომისია შედგება 11 წევრისაგან.

მიმდინარე მოწვევის პერიოდის დასაწყისიდანვე საფინანსო – საბიუჯეტო კომისია აქტიურად ჩაერთო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2018 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ ყველა სამუშაო შეხვედრაში, ყველა სამსახურთან მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისია, აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, ამზადებს შესაბამის დასკვნებსა და შენიშვნებს. მუშაობის კოორდინირების მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2018 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, 2017 წლის დეკემბრიდან დღემდე, მოწვეული და ჩატარებული იქნა საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის 11 (თერთმეტი) სხდომა, განხილულია 21 (ოცდაერთი) საკითხი. ყველა ჩატარებული სხდომა იყო საჯარო. ჩაშლილი ან გადადებული არ ყოფილა საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის არცერთი სხდომა.

საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ იმსჯელა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1. ბოლო წლების გამოცდილების გათვალისწინებით, მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ და მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას;

2. განხილულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობები და მათი მოსალოდნელი სოციალურ – ეკონომიკური ეფექტიანობა;

3. სისტემატურად ხდებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება, რაც აისახა კიდეც კომისიის სამუშაო გეგმაში.

4. მოსმენილ იქნა თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები.

საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი“. მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა შესაბამისი დასკვნა;

2. „ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის განხილვა“. მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა შესაბამისი დასკვნა;

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N21 დადგენილებაში ცვლილებების განხილვა (სულ განხილულია 5 ცვლილება). ყველა მათგანზე მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა შესაბამისი დასკვნები;

4. შეფასდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017 წლის შესრულების მდგომარეობა. მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა შესაბამისი დასკვნა;

5. შეფასდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018 წლის პირველი კვარტლის შესრულების მდგომარეობა;

6. შეფასდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018 წლის ორი კვარტლის შესრულების მდგომარეობა;

7. მიმდინარე წლის თებერვალ – მაისში განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ 2018 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების განხილვა (ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური; საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური; ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური; სოციალურ საკითხთა სამსახური; ადმინისტრაციული სამსახური; არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახური; საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური; სამხედრო სამსახური);

საფინანსო – საბიუჯეტო კომისიამ განიხილა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N21 დადგენილებაში შესატანი შემდეგი ცვლილებები:

1. საბიუჯეტო ცვლილებები (ჯამურად 7861 ათასი ლარი), რომელიც შეეხო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული თანხის სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში გადანაწილებას, ასევე ააიპ „ქუთგანათების სერვისის“ შექმნას. წარმოდგენილი ცვლილების შედეგად ბიუჯეტი გაიზარდა და შემოსულობების გეგმამ 61 931,4 ათასი ლარი შეადგინა (სხდომამ საკითხი განიხილა მ/წლის 30 იანვარს);

2. შემდეგი ცვლილებები შევიდა როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯვით ნაწილში, კერძოდ, წინა წლის ნაშთიდან განაწილდა 379,6 ათასი ლარი, მათ შორის: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში - 311,0 ათასი ლარი, რომელიც 2015 წელს დასრულებული პროექტების შესრულებული სამუშაოს 2,5%-ია და საკუთარ სახსრებში - 68,6 ათასი ლარი. წარმოდგენილი ცვლილების შედეგად ბიუჯეტი გაიზარდა და შემოსულობების გეგმამ 62 311,0 ათასი ლარი შეადგინა (სხდომამ საკითხი განიხილა მ/წლის 26 თებერვალს);

3. მომდევნო ცვლილებით გაიზარდა არაფინანსური აქტივების კლების გეგმა - 150 ათასი ლარით და ააიპ-ების რეორგანიზაციის შედეგად განხორციელდა მუხლობრივი გადაადგილებები. წარმოდგენილი ცვლილების შედეგად ბიუჯეტი გაიზარდა და შემოსულობების გეგმამ 62 461 ათასი ლარი შეადგინა (სხდომამ საკითხი განიხილა მ/წლის 27 მარტს);

4. შემდეგი ცვლილებები ძირითადად შევიდა სტიქიის ღონისძიებების სალიკვიდაციოდ მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის (720 ათასი ლარი), ახალი პროგრამული კოდების დამატების (300 ათასი ლარი) და საგრანტე პროგრამა „კატასტროფების მართვა“ (61 ათასი ლარი) გათვალისწინებით. ცვლილებების საერთო მოცულობამ ორივე ნაწილში 1579,9 ათასი ლარი შეადგინა, რითაც ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ 64 040,9 ათასი ლარი შეადგინა (სხდომამ საკითხი განიხილა მ/წლის 29 მაისს);

5. ბოლო ცვლილება განაპირობა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შეტანილმა ცვლილებამ, რითაც 545,7 ათასი ლარით შემცირდა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები რიგ პროგრამებში. ზემოაღნიშნული განკარგულების თანახმად გაიზარდა „გზებისა და ტროტუარების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა-პატრონობის“ პროგრამა 2868,4 ათასი ლარით. საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი და შემოსავლების ნაწილი გაიზარდა 2322,7 ათასი ლარით და 66 363,6 ათასი ლარი შეადგინა (სხდომამ საკითხი განიხილა მ/წლის 23 აგვისტოს).

საფინასო-საბიუჯეტო კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია: 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებულ სამუშაოებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა; საკრებულოსათვის დასკვნების წარდგენა მის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება (მათ მიერ ცალკეული პროგრამების განხორციელების მიმართულებით); ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა – გაანალიზება შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით; ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება.

შენიშვნა: წინამდებარე ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-12 სხდომაზე, მ/წლის 26 სექტემბერს, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ბოჭორიშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია